



## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების  
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ  
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23. 01. 2023



## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი: ეკა

გვარი: ლეკაშვილი



## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>	ეკონომიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე <sup>2</sup>	მეექვსე დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით <sup>3</sup>	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) <sup>4</sup>	0311 - ეკონომიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი <sup>5</sup>	ა. პოლიტკოვსკაიას N61, თბილისი, 0186, საქართველო. პირველი სასწავლო კორპუსი.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული, 2022 წლის 11 იანვრის N11011 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	21.12.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	21.12.2022

<sup>1</sup>დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

<sup>2</sup>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>3</sup>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>4</sup>განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

<sup>5</sup>ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2028
----	-----------------------------------	------------

**საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება**  
**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მიმუშავება	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

**შესასრულებელი რეკომენდაციები<sup>6</sup>**

1. მიზანშეწონილია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგის „ცნობს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას“ დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს შედეგის გაზომვა.

<sup>6</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



2. გადამუშავდეს მაინორ პროგრამის შედეგი „ყალიბებს ეფექტიან გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე“.
3. პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია დეტალური სფეროს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა.
4. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტს.
5. სასწავლო კურსის სილაბუსებში გაძლიერდეს პრაქტიკული ნაწილი და სწავლების პროცესში აქტიურად იქნეს გამოყენებული პრაქტიკული სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>7</sup>

აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან, რომლის ჩამონათვალიც წინა პუნქტშია მოცემული შესრულდა 1-ელი, მე-2 და მე-5 რეკომენდაცია, ხოლო მეტწილად შესრულდა მე-3 და მე-4 რეკომენდაცია.

### რჩევები<sup>8</sup>

1. მიზანშეწონილია, „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების“ დოკუმენტით განისაზღვროს პირობა, რომლითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.
2. სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებასა და ინტერნაციონალიზაციას (გაცვლითი პროექტების კუთხით).
3. სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს და გაზრდის უსდ-ს ინტერნაციონალიზაციას.
4. სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონულ პორტალის ფუნქციონირებას და მყისიერი ქმედება განახორციელოს სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე, რათა აღნიშნულმა ფაქტმა არ შეაფერხოს

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

<sup>8</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



სტუდენტის ინფორმირებულობა სასწავლო პროცესთან და სხვა მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

5. მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რათა მათ მიეწოდოთ ადეკვატური ინფორმაცია უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხებისა და მათი გამოყენების შესახებ.
6. სასურველია უსდ-მ სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ ინფორმაცია (ცნობარი) გაავრცელოს ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით.
7. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების უფრო ეფექტურად იმპლემენტაციის და შესაბამისი კვლევების ჩატარების მიზნით ხარისხის შეფასების პროცესში დაინერგოს მართვის თანამედროვე ონ-ლაინ პლატფორმების გამოყენება.
8. დარგის საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდეს პროგრამების შედარების შედეგად გამოვლენილი მსგავსება-განსხვავების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი.
9. განხორციელდეს კოლეგიალური შეფასების მიღება წამყვან უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>9</sup>

აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რჩევებიდან უსდ-მ გაითვალისწინა ზედა პუნქტში მოცემული ჩამონათვალიდან მე-8 და მე-9 რჩევა.

### დამატებითი ინფორმაცია<sup>10</sup>

-----

-----

-----

### რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევე(ებ)ის გათვალისწინების შესახებ<sup>11</sup>

სტანდარტის დასახელება <sup>12</sup>	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება <sup>13</sup>	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

<sup>9</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

<sup>10</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

<sup>11</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>12</sup>სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>13</sup>კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით



რეკომენდაცია I <sup>14</sup>	მიზანშეწონილია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგის „ცნობს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას“ დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს შედეგის გაზომვა.
შეფასება	<p>ანგარიშის და მასთან თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მეცხრე შედეგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით: „იყენებს მიღებულ ცოდნას უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და შედგომი სწავლის საჭიროების დადგენისთვის“. წარმოდგენილი შედეგი დაკავშირებულია პროგრამის მესამე მიზანთან „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სტუდენტებმა შეძლონ ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირება, მონაცემების ანალიზი და შეფასება“, შესაბამისი დასკვნის გაკეთება და კომუნიკაცია“. აღნიშნულ შედეგზე გადის სასწავლო პროგრამის 8 სავალდებულო სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტი.</p> <p>ამასთან, აღნიშნული შედეგის გაზომვისათვის გამოყენებული იქნება ამავე საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი, რომლის კრიტერიუმად დადგინდა 30%.</p> <p><b>რეკომენდაცია შესრულდა.</b></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;</li> <li>• ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება (ოქმი N 8; 9/12/22) და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (05/01 – 100; 3/11/22);</li> <li>• ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
რეკომენდაცია II <sup>15</sup>	გადამუშავდეს მაინორ პროგრამის შედეგი „აყალიბებს ეფექტიან გადაწყვეტილებებს ეკონომიკური

<sup>14</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>15</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე“.
შეფასება	თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკის მაინორ პროგრამის გადამუშავებისას და წარმოდგენილი შედეგი დაკორექტირდა შემდეგი სახით: „ანალიზებს ეკონომიკურ პირობებს არსებული მონაცემების კრიტიკული გააზრების საფუძველზე“. თუმცა ეკონომიკის მაინორ პროგრამის შედეგებში ამ ფორმულირების შედეგი ვერ იძებნება. პროგრამის შედეგებში უნარების ნაწილში წარმოდგენილია მსგავსი შედეგი: „არსებული მონაცემების საფუძველზე კრიტიკულად იაზრებს ეკონომიკურ პრობლემებს“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ანგარიშში ტექნიკური ხარვეზია და ეს ვარაუდი საჭიროებს დაწესებულების მხრიდან დადასტურებას. <b>რეკომენდაცია შესრულდა.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკის მაინორ პროგრამა;</li> <li>• ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b>
რეკომენდაცია III <sup>16</sup>	პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია დეტალური სფეროს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა.
შეფასება	წარმოდგენილ ანგარიშში და თანადართულ დოკუმენტებში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რიგი სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა გაიზარდა. კერძოდ, „ეკონომეტრიკის საფუძვლები 1“ და, „ეკონომეტრიკის საფუძვლები 2“ გახდა 3-3 ECTS კრედიტიანი. ასევე, კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 6 ECTS კრედიტამდე სასწავლო კურსებში: „ფირმის ეკონომიკა“ და „საქართველოს ეკონომიკა“. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ექსპერტული შეფასებით დგინდება, რომ „ფირმის ეკონომიკის“ სილაბუსში სასწავლო მასალის თემატური და მოცულობითი სტრუქტურა შეესაბამება

<sup>16</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)





	<p>სილაბუსით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობას, თუმცა 2011 წლის წიგნი არის მითითებული სავალდებულო ლიტერატურაში. ანალოგიური მდგომარეობაა „ეკონომეტრიკის საფუძვლები 1“ და „ეკონომეტრიკის საფუძვლები 2“ . <b>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.</b></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;</li> <li>• ანგარიში;</li> <li>• ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება (ოქმი N 8; 9/12/22) და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (05/01 – 100; 3/11/22);</li> <li>• სასწავლო კურსების - „ეკონომეტრიკის საფუძვლები 1“, „ეკონომეტრიკის საფუძვლები 2“, „ფირმის ეკონომიკა“ და „საქართველოს ეკონომიკა“ სილაბუსები.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b>
რეკომენდაცია IV <sup>17</sup>	<p>რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტს.</p>
შეფასება	<p>ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებად განისაზღვრა შემდეგი კურსები: საერთაშორისო ეკონომიკა 2, ფირმის ეკონომიკა, ეკონომიკური კვლევის საფუძვლები, ეკონომეტრიკის საფუძვლები. ანალოგიური ინფორმაციაა პროგრამის სასწავლო გეგმაში/სტრუქტურაში. თუმცა სილაბუსში სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა განსაზღვრულია შემდეგი ფორმულირებით: „საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათალისწინებული სასწავლო კომპონენტების გავლა“. ამ ფორმულირებებს შორის შინაარსობრივად არსებითი განსხვავებაა. მიზანშეწონილია წინაპირობები ყველა დოკუმენტში ფორმულირებული იყოს ერთი შინაარსით. <b>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.</b></p>

<sup>17</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;</li> <li>• ანგარიში;</li> <li>• საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.</li> </ul>
------------------	---

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.3. სასწავლო კურსი</b>
რეკომენდაცია V <sup>18</sup>	სასწავლო კურსის სილაბუსებში გაძლიერდეს პრაქტიკული ნაწილი და სწავლების პროცესში აქტიურად იქნეს გამოყენებული პრაქტიკული სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.
შეფასება	წინამდებარე ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ გადამუშავდა შემდეგი სასწავლო კურსის სილაბუსები: მიკროეკონომიკა 1; მიკროეკონომიკა 2; მაკროეკონომიკა 1; მაკროეკონომიკა 2; ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; სტატისტიკა ეკონომისტებისთვის; ფირმის ეკონომიკა; ეკონომეტრიკის საფუძვლები 1; ეკონომეტრიკის საფუძვლები - 2; ეკონომიკური პოლიტიკა და მათში გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტები შესაბამისი სწავლა - სწავლების, საკითხების, აქტივობების და შეფასების მეთოდების გამოყენებით. <b>რეკომენდაცია შესრულდა.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსის სილაბუსები: მიკროეკონომიკა 1; მიკროეკონომიკა 2; მაკროეკონომიკა 1; მაკროეკონომიკა 2; ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; სტატისტიკა ეკონომისტებისთვის; ფირმის ეკონომიკა; ეკონომეტრიკის საფუძვლები 1; ეკონომეტრიკის საფუძვლები - 2; ეკონომიკური პოლიტიკა;</li> <li>• ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება (ოქმი N 8; 9/12/22) და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (05/01 – 100; 3/11/22);</li> <li>• ანგარიში.</li> </ul>

<sup>18</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b>
რჩევა <sup>19</sup>	სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებასა და ინტერნაციონალიზაციას (გაცვლითი პროექტების კუთხით).
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება <sup>20</sup>	<b>1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
კომპონენტის დასახელება <sup>21</sup>	<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
რჩევა <sup>22</sup>	მიზანშეწონილია, „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების“ დოკუმენტით განისაზღვროს პირობა, რომლითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b>

<sup>19</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>20</sup>სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>21</sup>კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>22</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა <sup>23</sup> III	სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს და გაზრდის უსდ-ს ინტერნაციონალიზაციას.
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</b>
რჩევა <sup>24</sup> IV	სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონულ პორტალის ფუნქციონირებას და მყისიერი ქმედება განახორციელოს სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე, რათა აღნიშნულმა ფაქტმა არ შეაფერხოს სტუდენტის ინფორმირებულობა სასწავლო პროცესთან და სხვა მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</b>
რჩევა <sup>25</sup> V	მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რათა მათ მიეწოდოთ ადეკვატური ინფორმაცია უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხებისა და მათი გამოყენების შესახებ.
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</b>

<sup>23</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>24</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>25</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა <sup>26</sup> VI	სასურველია უსდ-მ სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ ინფორმაცია (ცნობარი) გაავრცელოს ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით.
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>
კომპონენტის დასახელება	<b>5.1.შიდა ხარისხის შეფასება</b>
რჩევა <sup>27</sup> VII	ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების უფრო ეფექტურად იმპლემენტაციის და შესაბამისი კვლევების ჩატარების მიზნით ხარისხის შეფასების პროცესში დაინერგოს მართვის თანამედროვე ონ-ლაინ პლატფორმების გამოყენება.
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>
კომპონენტის დასახელება	<b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b>
რჩევა <sup>28</sup> VIII	დარგის საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდეს პროგრამების შედარების შედეგად გამოვლენილი მსგავსება-განსხვავების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი.
შეფასება	აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა და წარმოადგინა საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მოქმედი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამები შესწავლა-ანალიზი. ყველაზე მეტი მსგავსება გამოიკვეთა თსუ-ს, ISET-ის, კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო

<sup>26</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>27</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>28</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>პროგრამებთან. ამასთან, მოახდინა დადარება მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (აშშ), ლონდონის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი), ვენის უნივერსიტეტის (ავსტრია), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (უნგრეთი, ავსტრია) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებთან. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სსუ-ს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა სავალდებულო კომპონენტებში სტავაზობს სტუდენტს ყველა იმ ძირითად სასწავლო კურსს, რომელიც ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციის მიღწევას ემსახურება.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამების ანალიზი.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>
კომპონენტის დასახელება	<b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b>
რჩევა <sup>29</sup> IX	განხორციელდეს კოლეგიალური შეფასების მიღება წამყვან უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.
შეფასება	წარმოდგენილი ანგარიშს ახლავს უკრაინის ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტის (ქ. კიევი) ბიზნესის ანალიზისა და ციფრული ეკონომიკის დეპარტამენტის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ანასტასია სიმაკოვას ექსპერტული შეფასება სსუ-ს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შესახებ. ექსპერტის თვალსაზრისით, შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამა პასუხობს მის წინაშე მდგარ მოთხოვნებს როგორც პროგრამის მიზნების, შინაარსის, ლოგიკური სტრუქტურის, ასევე მის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის თვალსაზრისით.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიში;</li> <li>• ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება (ოქმი N 8; 9/12/22);</li> <li>• გარე ექსპერტის დასკვნა.</li> </ul>

<sup>29</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



თანდართული დოკუმენტაცია<sup>30</sup>

ექსპერტის ხელმოწერა

---

<sup>30</sup>თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა